საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1963 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 32 (6621) 11 აგვისტო ხუთშაბათი

## ლაჯანურჰესი: ენერგოსისტემაში საგანგებო მდგომარეობა

უკანასკნელ წლებში საქართველოს ენერგოსისტემა ფაქტიურად ავარიულ რეჟიმით მუშაობს. სა[...]დენი ბაზების, ტრანსპორტისა და საწვავის დეფიციტის პირობებში მეზ[...] ენერგომომწყო[...]ილობების სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობები, არ არის მშენებლობა-რეკონსტრუქციის განხორციელების პირობები.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე სახალხო მეურნეობის ენერგომომარაგების გაუმჯობესების და საერთოდ ენერგეტიკული დარგის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით 1994 წლის 10 ივლისიდან საქართველოს ენერგოსისტემაში გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. ყველა ობიექტზე და, რა თქმა უნდა, ჩვენთან, ლაჯანურჰესზე, დილის 8 საათიდან ღამის 24 საათამდე შემოღებულია მორიგეობა, დამყარებულია გაზრდილი პასუხისმგებლობის რეჟიმი, მკაცრი მოთხოვნაა ელექტრომომხმარებაზე ლიმიტის დაცვასა და პიკის საათებში—დილის 8 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 18 საათიდან 23 საათამდე სიხშირის მკვეთრი დაცემის დროს (50 ჰერციდან 47 ჰერცამდე). ადგილობრივი მომხმარებლების გამორთვაზე.

საქმე ისაა, რომ სიხშირის მკვეთრ დაცემას იწვევს ენერგიის წყაროს მწყობრიდან გამოსვლა, ეს იქნება ელექტროგადამცემი ხაზის გამორთვა, თუ რომელიმე სადგურის ავარია. ჩვენი, ლაჯანურჰესის მთელი კოლექტივი ყოველნაირად ცდილობს, რომ პირველ რიგში ცაგერის რაიონის მოსახლეობა მაქსიმალურად იქნეს დაკმაყოფილებული ელექტროენერგიით, ამას ვაკეთებთ კიდეც გარდა იშვიათი გამონაკლისისა, რაც მოსახლეობამაც უნდა გაიგოს.

ახლა ენერგოსისტემაში უკიდურესი ავარიული მდგომარეობაა, რა მდგომარეობაშია ლაჯანურჰესის კასკადი დღეს და რა კეთდება იმისათვის, რომ ლაჯანურჰესმა მომავალშიც ემსახუროს ჩვენი რაიონის მოსახლეობას და მთელ საქართველოს? უკანასკნელ წლებში მიმდინარე მოვლენებმა თავისებური გავლენა იქონია ლაჯანურჰესის კასკადის კოლექტივზე—კასკადში შემოდის მცირე სიმძლავრის სადგურები —ორბელჰესი, რიცეულჰესი, ზვარეთჰესი, რომლებიც უკვე ერთ წელზე მეტია, რაც გაყიდვაშია, მაგრამ ჯერჯერობით გაყიდული არაა. სანამ არ გაიყიდება, მათ აღდგენაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. შენარჩუნებულია რიცეულჰესისა და ზვარეთჰესის ძირითადი ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები, ხოლო ორბელჰესი ნახევრად გაძარცვულია და რაცაა შემორჩენილი, იმასაც დიდი გაჭირვებით ვინარჩუნებთ.

თვით ლაჯანურჰესი მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური, ლამაზი არქიტექტურული სტილით ნაგები ენერგეტიკული ობიექტია, რომელიც შესდგება ცაგერის სათავე ნაგებობისაგან, ლაჯანურჰესის წყალსაცავის, თაღოვანი კაშხლისა, ცხენისწყლის წყალგადამშვი და წყალმიმღები გვირაბებისაგან და თვით ელექტროსადგურისაგან, რომლის მთლიანი ტანი მიწისქვეშაა მოთავსებული. ამ ურთულესი ობიექტის ცალკეულ კვანძებს ესაჭიროება დროული და მიმდინარე კაპიტალური რემონტი. ამისათვის საჭიროა სადგურის მთლიანი გაჩერება, რაც დღევანდელი ენერგოსისტემისათვის თითქმის შეუძლებელია სარეზერვო ენერგიის წყაროს—სიმძლავრის უქონლობის გამო. ამიტომაა, რომ ყოველწლიურად ვერ ხერხდება წყალსაცავების დაცლა და რეცხვა, თუმცა ეს უკანასკნელი იმითაცაა გამოწვეული, რომ ამ დროს ქალაქ ქუთაისის მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდება უწყდება.

დაზიანებულია და შეკეთებას საჭიროებს ცაგერის სათავე — ნაგებობის დამბის მარჯვენა ნაწილი აა—40 მეტრის სიგრძეზე, რაც მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს უნდა შესრულდეს.

ავარიული სამუშაო შესრულებულია კასკადში. უნდა აღდგეს გვირაბის საჰაერო მილი, რომელიც სასუნთქ ორგანოს წარმოადგენს წყალმიმღები გვირაბისათვის. მისი აღდგენისათვის სადგურის შვიდდღიანი გაჩერება მასიცაა აუცილებელი, რაც ახლა, ამ ზაფხულში, კერძოდ, 20—28 აგვისტოს უნდა მოხდეს. ავარიული აღდგენითი სამუშაო ჩასატარებელია ასევე ლაჯანურჰესის გ—2 აგრეგატზე, რომლის გრაგნილები და[...]ცვეს სხვა ფასეულობასთან ერთად ზაჰესის ცენტრალური სარემონტო ქარხნიდან, საიდანაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

აღნიშნულის აღდგენისათვის დიდძალი თანხაა საჭირო, საქენერგოს ხელმძღვანელობა გვპირდება, როგორც კი იქნება საშუალება, გადარიცხავენ მოსკოვის ელექტროსამრეწველო სარემონტო ქარხანაში, სადაც დაგვიმზადებენ და დაგვიმონტაჟებენ კიდეც აღნიშნულ გრაგნილებს.

როგორც ვხედავთ, წინ ბევრი რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო გველის. მოსახლეობას კიდევ ერთხელ ვთხოვთ გაგებით მოეკიდონ ენერგოსისტემაში შექმნილ ურთულეს მდგომარეობას, ეკონომიურად ხარჯონ ელექტროენერგია, ნუ დაიზარებენ ვალის გადახდას და ასე ერთმანეთის თანადგომით, ურთიერთგაგებით თუ დავძლევთ ყველა ის სიძნელე, რაც ენერგოსისტემაში დღეისათვის არსებობს.

**ე. თოთაძე,**
**ლაჯანურჰესის კასკადის დირექტორი.**

ვაჭრობის სფერო

## ურთულესი ამოცანის შესასრულებლად

დღეს, როცა სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილების საქონლით დაკმაყოფილებას ბუნებრივია, მეტი შესაძლებლობა გაუჩნდათ კომერციულ სტრუქტურებს და ისედაც ძვირად ღირებულ საქონელს მამასისხლად ჰყიდიან. ამ პირობებში სახელმწიფო ორგანიზაციები დუმილს ამჯობინებენ, რის მოთმენაც შეუძლებელია, ისინი რადიკალურად უნდა გააქტიურდნენ, რათა დააკმაყოფილონ ხალხის მოთხოვნილებები, სწორედ ამ და სხვა საჭირბოროტო პრობლემების გამო რაიკოოპერატივის თანამშრომლებთან შეხვედრა მოაწყო რაიონის საკრებულოს გამგებელმა პ. მუშკუდიანმა

შეხვედრაზე ითქვა იმ მცირედ წვლილზე, რაც ამ ორგანიზაციამ გააკეთა წლეულს, დადებითად იქნა აღქმული ის, რომ II კვარტალი რაიკოოპერატივმა 250 მილიონი კუპონის მოგებით დაამთავრა. ამასთან მომწოდებელ ორგანიზაციებს, ბაზებს აქვთ საქონელი, მართალია, ძვირადღირებული, მაგრამ კომერციულ ფასებთან შედარებით იაფი, რისი შემოტანისა და ქსელში გაშვებისათვის უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობა.

გულისტკივილი გამოითქვა იმის გამო, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებას მოუმზადებელი ხვდება რაიკოოპერატივი, ქსელში არ არის წიგნი, რვეული, ტანსაცმელი, სხვა სასწავლო ნივთები, რაიკოოპერატივის მაღაზიებში მცირე რაოდენობით შემოდის მარილი, ასანთი, სიგარეტი, თუ პირველადი მოთხოვნილების სხვა საქონელი. ძირითადი შემოსავალი პურით ვაჭრობაზეა და აქედან გამომდინარე, მისი საქმიანობაც ძირითადად პურკომბინატზეა დამოკიდებული, თანაც ისე, რომ თუ რაიკოოპერატივი მოგებას პურის საშუალებით იღებს, პურკომბინატს 2,5 მილიარდი კუპონის ზარალი აქვს, რისი დაფარვის წყარო ჯერჯერობით არსაიდან ჩანს.

შეხვედრაზე ითქვა ხელისშემშლელ პირობებზეც. ყველაზე მეტად განიცდიან ფინანსურ სიძნელეებს, არ გააჩნიათ ფულადი სახსრები, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორებით საქონლის შემოტანაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამასთან ბანკის სესხის აღებას ორგანიზაცია თავს არიდებს მოსალოდნელი ვადაგადაცილებისათვის დარიცხული სოლიდური საურავის გამო.

ორგანიზაციას სერიოზულ სიძნელეებს უქმნის მომწოდებლებთან ტარის დაბრუნების მდგომარეობა, უნდა გასწორდეს 12 ათასი ტომარა ტარის დავალიანება, რისი ანაზღაურებისათვის მას წარგენილი აქვს 600 მილიონი კუპონის ჯარიმა.

შეხვედრაზე რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა სხვადასხვა საკითხი, პირველ რიგში, კი იმის თაობაზე, თუ რა სულის კვეთება სუფევს კოლექტივში, რაიკოოპერატივისა და პურკომბინატის ხელმძღვანელობას ხელს უშლის უწყებრივი დაპირისპირება, რომელიც პურის ფქვილის პურკომბინატის მეშვეობით შემოტანაზეა დამყარებული, რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობას სურს პურის ფქვილის გარკვეული ნაწილი შემოდიოდეს მათი საშუალებით, რაზეც პურკომბინატის დირექცია თანახმაა, მაგრამ მკაცრად აღინიშნა, რომ ფქვილის შემოტანის საკითხს წყვეტს რაიონის საკრებულოს გამგეობა და თვლის, რომ ამ საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით უმჯობესია პური შემოჰქონდეს მხოლოდ პურკომბინატს და პასუხისმგებლობაც, რაც ამ პროცესებთანაა დაკავშირებული, ეკისრება პურკომბინატის დირექციას, ხოლო რაიკოოპერატივი ასრულებდეს მის სისხლხორცეულ საქმეს.

რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობას მოეთხოვა იმის შესახებ, რომ დღევანდელი პირობების შესაბამისად გაბედულად გადავიდნენ ვაჭრობის ახალ ფორმებზე, ახალ აზროვნებაზე, გასაქანი მისცენ თავისუფალ ვაჭრობას, მასიურად ამოქმედდეს არენდა, რომელშიც ჩაერთონ თვით აპარატის მუშაკებიც, ამასთან მაღაზიები მიეცეს მოქნილ ხალხს, საჭიროა მუხლჩაუხრელი მუშაობა მომწოდებლებთან, კომერციულ საქმიანობას მიეცეს ფართო ხასიათი, მაგრამ ეს უნდა იყოს პატიოსნების ჩარჩოში ჩამჯდარი და კონკურენცია გაუწიოს კომერციულ სტრუქტურებს, ვაჭრობის სისტემა უნდა მოიცავდეს ყველა სოფელს, ამის თქმის საშუალებას ისიც გვაძლევს, რომ სოფელ ალვის მშრომელებთან შეხვედრისას მათ კატეგორიულად მოითხოვეს რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობამ დასახლებული ადგილის მიხედვით შემოიტანოს პირველადი მოთხოვნილების საქონელი თუნდაც კომერციულ ფასებში.

ვაჭრობის მუშაკებს კიდევ ერთხელ მიეცათ შანსი იმისათვის, რომ აამაღლონ გამგეობის, როგორც კოლეგიალური ორგანოს როლი, გააჯანსაღონ დამოკიდებულება ცალკეულ სამსახურებსა და მუშაკებს შორის, რათა ერთიანი ძალით იზრუნონ მათთვის დაკისრებული ურთულესი ამოცანის შესასრულებლად.

**რაიონის საკრებულოს გამგეობის პრესცენტრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლის პალატაში

# სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ

**კონტროლის პალატის საბჭომ განიხილა საკითხი — ცაგერის კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოში ჩატარებული დოკუმენტური რევიზიის შედეგების შესახებ.**

სხდომაზე აღინიშნა, რომ კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოში დოკუმენტური რევიზიის შედეგად გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები, რაც ადმინისტრაციის საანგარიშო დარგის მუშაკებისადმი კონტროლის შესუსტების შედეგია.

საწარმოო სამმართველოს მთავარ სალაროში მოულოდნელი შემოწმების შედეგად 1994 წლის 14 მაისის მდგომარეობით გამოვლინდა 147640 კუპონის დანაკლისი. არადამაკმაყოფილებლად იწარმოება საკუთარი აღრიცხვა—ანგარიშების ქვითრები, ხოლო საექსპლოატაციო ქვითრები სრულებით არ არის ნაწარმოები, როგორც ოპერატიულად, ისე ბუღალტრულად.

შარშან საექსპლოატაციო ხარჯების საერთო გეგმაში გათვალისწინებული იყო 15.500 ათასი კუპონი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 70.089 ათასი კუპონი, ე. ი. გადახარჯეს 54.489 ათასი კუპონი.

ქალაქისა და სოფლების ტელეფონების ქსელიდან შემოსავლების ზრდის ყველა რეზერვი არ არის გამოყენებული. არ ხდება ხანგრძლივად დაზიანებული ტელეფონების აღდგენა, რის გამოც სააბონენტო არ დარიცხვია 1993 წლის I იანვრიდან 280 აბონენტს, მათ შორის სოფელ ღვირიში 111 მოსახლეს, ოყურეშში—64, ალვში—43, ნაკურალეშში—40—ს.

საწარმოს ადმინისტრაცია სათანადოდ ვერ ტვირთავს და ვერ იყენებს თავის [illegible]. პრაქტიკაში არ არის დახვეწილი საწარმოს მიზეზით თანამშრომელთა ხანგრძლივი მოცდენის პირობები მათი გამოყენება სხვა სამუშაოებზე, რის გამოც საწარმოში საკმაოდ მაღალია არასაწარმოო ხარჯების მაჩვენებელი.

საწარმოს ადმინისტრაცია, საბუღალტრო სამსახური სათანადო ყურადღებას არ უთმობს სახელმწიფო გადასახადებისა და სხვა ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების საქმეს, რაც კიდევ უფრო ზრდის არაწარმოებლურ ხარჯებს და კრედიტორულ დავალიანებებს. მარტო 1993—94 წლებში სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიერ გადასახდელების არასწორად გაანგარიშებისა და ჩარიცხვის გამო საწარმოს დაერიცხა 507.275 ათასი კუპონის ჯარიმა. ყოველთვიურად ხელფასის გაცემასთან ერთად არ ხდება ანგარიშსწორება ისეთ სახელმწიფო გადასახდელებზე, როგორიცაა სოცდაზღვევის 36 პროცენტიანი და შრომის ბირჟის 3 პროცენტიანი გადასახდელები. რის გამოც 1994 წლის I მაისის მდგომარეობით სოცდაზღვევის განყოფილებას ეკუთვნოდა 29562 ათასი კუპონი, ხოლო შრომის ბირჟას 5.0?4 ათასი კუპონი, კანონით დადგენილი სანქციების გადახდისა და საურავის დარიცხვის შემთხვევაში აღნიშნული თანხა იზრდება. დიდია კრედიტორული დავალიანება [illegible] გასწორებისათვის.

მაშინ, როდესაც საწარმოს ფინანსურ—ეკონომიკური მაჩვენებელი შეუსრულებელია, რაც იწვევს სახელმწიფო გადასახადების გადავადებას, საწარმოში ადგილი აქვს საშტატო ერთეულების გაზრდის ან ადგილზე სტაბილურად შენარჩუნების ტენდენციას, მაშინ, როდესაც სამეურნეო—პროფილური საქმიანობა ხარვეზებით ხასიათდება. ამჟამად თვით სამმართველო აპარატში დასაქმებულია 75 ინჟინერ—ტექნიკური მუშაკი. არის სოფლები, სადაც 5—6 დამტარებელი მუშაობს, როდესაც საფოსტო გზავნილები მინიმუმამდეა შემცირებული, ასევე 2—3 ტექნიკოსი და მონტიორი ემსახურება სოფლებს, სადაც 15—20 სატელეფონო ნომერი, რადიო წერტილი თვეობით და წლობითაა მწყობრიდან გამოსული.

კონტროლის პალატის საბჭოს მიღებული დადგენილებით კავშირგაბმულობის რაიონული საწარმოო სამმართველოს ადმინისტრაციის სამეურნეო—საფინანსო საქმიანობა ჩაითვალა არასაკმარისად.

ცნობად მიიღო, რომ დაფარულია საწარმოს მთავარ სალაროში გამოვლენილი დანაკლისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ და კრედიტორული დავალიანებები შრომის ბირჟასთან, სოცანარიცხების ერთიან ფონდთან.

საფინანსო—სამეურნეო საქმიანობის გაუარესების, არამწარმოებლური ხარჯების მკვეთრი გაზრდის, სახელმწიფო გადასახდელების დაგვიანებით გადახდისა და სხვა დარღვევების გამო, რომელმაც არსებითად იმოქმედა საწარმოს საფინანსო მდგომარეობაზე, რამაც განაპირობა რაიონის მოსახლეობის კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურებაში არსებითი ხასიათის ხარვეზები და ნაკლოვანებები, სახელმწიფოსთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით დაერიცხათ ხელფასი რაიონის ბიუჯეტის სასარგებლოდ საწარმოო სამმართველოს უფროსს ი. ჭაბუკიანს, მთავარ ბუღალტერს კ. ჩიქოვანს და მთავარ ინჟინერს ს. ჯაბურიას თითოეულს ორ—ორი თვის ხელფასი.

ღია ჭრილობა

# ტკივილიანი ორი წელი

1992 წლის 14 აგვისტოს მზიანი დილა გათენდა ჩვენს საყვარელ სოხუმში.

დილის 8 საათია. ცეროდენები გაცისკროვნებული თვალებით მიიჩქარიან №6 ქართულ საბავშვო ბაღ „ნერგებში". იქ ხომ თითქმის ყველა ეროვნების ბავშვი სწავლობს ქართულ მეტყველებას. განსაკუთრებით მენატრება აფხაზი პატარები ალმასხან ჩაჩბა, ნანა აჩბა და სხვანი, რომლებიც გულმოდგინედ სწავლობდნენ ქართულ ლექსებს „მე პატარა ქართველი ვარ..." და „რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი თუ მამულს თავი არ ანაცვალე"... და სხვას.

დღის 1 საათი სრულდება. პატარები დასაძინებლად ემზადებიან და გაისმა ტანკების და ტყვიამფრქვევების ხმა. შემოიჭრნენ ქალაქის ცენტრში სროლით და იერიშით. თითქოს მტრის ტერიტორიას იტაცებდნენ. ჩემი მეხსიერებიდან არ წაიშლება ის დღე, აკანკალებული პატარები და კივილით შემოსული მშობლები, რომელთაც გულში ჩაკრული მიჰყავდათ ჩაუცმელი პატარები.

იმ დღესვე მდ. გუმისთაზე გაჩნდა საზღვარი და დაიწყო ძმათა მკვლელი უაზრო ომი. ერთი წელი იბომბებოდა ჩვენი ლამაზი ქალაქი. არ დავტოვეთ ქალაქი და მთელი ღამე გვიწევდა სარდაფში ღამისთევა. ყოველდღე იღუპებოდა უდანაშაულო ხალხი. სისხლის ტბა იდგა სოხუმში.

არ დამავიწყდება ჩვენი საბავშვო ბაღის აღზრდილი ალეკა ავთანდილის ძე გიორბელიძე (დაზღვევის უფროსი), ის დედისერთა ბიჭი იყო და გუმისთის მისადგომებთან დაიღუპა. ჩვენ ხომ გავაკეთეთ საბავშვო ბაღში კუთხე და ვფიქრობდით, რომ ბაღს მიეკუთვნებოდა აფხაზეთის ომში დაღუპული ჭაბუკების სახელი.

ვაგლახ რომ არ დაგვცალდა. მათთან ერთად მინდა მოვიგონო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ლექტორი ბატონი ზურაბ ბერიძე და მეუღლე მალვინა — 2 ვაჟკაცის მშობლები, მამუკა წამოსვლის წინ გუმისთის მისადგომებთან დახვრიტეს, მთელი კვირა ვინახავდით საიდუმლოს, შემდეგ ბატონმა ზურაბმა გაიგო, წავიდა შვილის გადმოსასვენებლად, ისიც დახვრიტეს. სოხუმის დატოვებისას ქალბატონი მალვინა თავის მეორე ვაჟთან ერთად მოდიოდა სვანეთის უღელტეხილით და იძახდა ჩემი მკვდარი მამუკას მოფერება მინდაო.

ჩვენ გამოგვაყოლეს ინსტიტუტის თანამშრომელი (მწერალ ალ. ჭიქიას ქალიშვილი) ნაზი ჭიქია, რომელიც სვანეთის უღელტეხილზე ჩემს შვილებს ხელში შემოეყინათ და იქ დავტოვეთ ალპურ ზონაში, რომლის შესახებაც ჟურნალში ვაცნობე ო. ფაცაციას, ზ. სარალიძეს, გ. კალანდიას, საუბედუროდ დღესაც უცნობია მისი საფლავი...

14 აგვისტოს 2 წელი სრულდება ომის დაწყებიდან. ჩვენ ცაგერში მყოფი ლტოლვილები მუხლს ვიყრით ჩვენი დაღუპულების წინაშე,

მიტოვებისათვის გვაპატიოს თქვენმა სულებმა. სულ მალე დავბრუნდებით ჩვენს გაციებულ, მონატრებულ კერაზე და ჩავძახებთ: „ჩვენ გავიმარჯვეთ, თქვენი სახელი უკვდავია, საქართველოს ერთიანობისათვის შეწირულნო".

ლია მახარობლიძე—გიორბელიძე,
პედაგოგი.

რედაქციისაგან: ორი წელი გასრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სამოთხე—აფხაზეთი სისხლიანმა გაჭალიებმა მოიცვა. მოხდა ცივილიზებული მსოფლიოს ისტორიაში გაუგონარი რამ—საცხოვრებელი ადგილებიდან აიყარა და ლტოლვილად იქცა ძირძველი მოსახლეობის დიდი უმეტესობა. დღეს ეს ხალხი იმედით შესცქერის მსოფლიოს პოლიტიკოსებს—იქნებ ეშველოთ. იქნებ მოხდეს სასწაული და დავიბრუნოთ აფხაზეთი.

## დახმარების მასშტაბი გაფართოვდება

რაიონის საკრებულოს სოციალურ საკითხთა განყოფილების ცნობით ამჟამად რაიონში შემოსულია ჰუმანიტარული ტვირთი. დახმარებას (2 ლიტრი ზეთი, 1—1 კილოგრამი ბრინჯი და რძის ფხვნილი), იღებენ I—II ჯგუფის ინვალიდები, რომლებსაც აქვთ ინვალიდობის პენსია, მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეები, ობოლი ბავშვები, ბავშვობიდან ინვალიდები და ინვალიდი ბავშვები. რაიონის ხელმძღვანელობა ცდილობს რომ ჰუმანიტარული დახმარება გავრცელდეს მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ფენებზე. უახლოეს ხანებში მოსალოდნელია ჩამოვიდეს ჰუმანიტარული ტვირთი ყველა კატეგორიის პენსიონერის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის.

## საზაფხულო კონცერტები

ამ დღეებში ცაგერის კულტურის სახლის შემოქმედებითმა კოლექტივმა კიდევ ერთი ლამაზი საკონცერტო საღამო გვაჩუქა. იგი განახლებული და მრავალფეროვნებული საზაფხულო კონცერტით წარსდგა ცაგერელი და არა მარტო ცაგერელი მაყურებლის წინაშე. მსგავსი კონცერტები გაიმართა ლაჯანაში და ალპანაშიც, რაც შესაძლებელი გახადა ლაჯანურჰესის კასკადის დირექტორის ბატონ ე. თოთაძის დახმარებამ, რომელმაც საწვავით უზრუნველყო შემოქმედებითი კოლექტივი. კულტურის მუშაკები მადლიერებას გამოთქვამენ აგრეთვე ალპანის საკრებულოს გამგებლის ბატონ თ. გურჯალიანის მიმართ, რომელმაც მაქსიმალურად შეუწყო ხელი მათ.

## პირველი კონფერენცია

1994 წლის 9 ივლისს ჩატარდა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის რაიონული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია რომელმაც აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტი 21, ხოლო სარევიზიო კომისია 3 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ვ. ზ. ჭაბუკიანი, მეორე მდივნად დ. ვ. მეგვეღიანი, ხოლო მდივნად დ. ი. სვანიძე.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია და მიმართვა კომუნისტებისა და ყველა მშრომელისადმი.

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცაგერის რაიკომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლის წილ—სიმღერა

ჩვენ განებივრებული არა ვართ, ქვეყნის გასაჭირი ყველას გასაჭირია. ჩვენ ერთნი ვართ, ერთი დიდი ტკივილი და სიყვარული ვართ. ერთ დამარცხებას და ერთ დიდ გამარჯვებას ვიზიარებთ.

მაგრამ ქართველი კაცი მშიშარა არ არის. ცრემლი და სიმღერა დასაბამიდან ასე გვჩვევია.

დღეს საქართველო უმძიმეს ნაბიჯებს დგამს და როცა სიკვდილი ებრძვის სიცოცხლეს, ქართველი კაცი უფრო ომახიანად უნდა მღეროდეს.

ალბათ ამიტომაც ჩატარდა ქვედა ცაგერის კლუბში კაფე—საღამო. ქვედა ცაგერის, ჭალისთავის, გვესოს სტუდენტი ახალგაზრდობის მონაწილეობით. მოწვეული იყვნენ კულტურის სახლის შემოქმედებითი კოლექტივი და ცაგერის საპატიო მოქალაქეები.

ლექსებს კითხულობდნენ ოლია, მაიკო ჭომეთიანები, ეკა კოპალიანი, თამრიკო შკუბულიანი და სხვა.

სანამ შთაბეჭდილებებს გაგიზიარებდით, მინდა აღვნიშნო ჭალისთავის ახალგაზრდობის გულისტკივილი კლუბისა და ბიბლიოთეკის შენობის უქონლობის გამო. ეს ერთი სხვა მრავალი... ყოველთვის კარგის კერა ყოფილიყოს ქვედა ცაგერის კლუბი.

ახლა შთაბეჭდილებები:

გიყურებ და მჯერა, მესმის და გიცნი, რომ სულში ყარა დღითიდღე ეზრდება.

ახალგაზრდა ხმები, რაღაც იდუმალი ოცნებით ამღერებული, ავსებენ დარბაზს. „წუთისოფელი ასეა", და სიყვარულით აღვსებული მრავალჟამიერი უგზავნის ქართველების მებრძოლ გულებში.

არაფერი დაფარული არა აქვს ახალგაზრდის გულს, სევდაც უზღვავადაა და სიხარულიც.

უნებურად ფიქრობ, ამ ქვეყანაზე ყველაფერმა სახე იცვალა, მაგრამ ახალგაზრდობა, სიყვარულით გაქვავებული გულების, სევდით დასველებული თვალები, უხეიურად ამღერებული ჰანგები გულებიდან ტკივილად მოდიოდნენ.

ასე იყო ეს საღამოც.

ქართულ სუფრაზე ქართველ კაცს რა დალევს, და მართლაც რა ლამაზი სიყვარული შეგვძლებია დღეს ლტოლვილობადაბედებულებს.

მაგრამ არ შეიძლება არ დაგაფიქროს—ვინ გაუყიდა ქართველს მიწა...

სად უნდა ვიდგეთ, სად უნდა ვიძარხებოდეთ, რომელმა მიწამ უნდა გვაწოვოს ძუძუ, რომელ მიწას უნდა დავარქვათ საქართველო, სად უნდა წავიდეთ უკეთესი მზის მადევარნი.

წინაპრებიო—შეგვახსენებენ ჩვენი მარადიული მამების ძვლები, მათი ტკივილი და წუხილი ვართ ჩვენ.

მშვიდობა... „ქართველობა საერთოდ ძნელია"...

ცრემლები ღიმილით ქრებიან სახეზე, ომის ტკივილით გამოწვეული ცრემლები, მოურჩენელი იარები, გათ საუკუნეების ძახილი.

ერი გვმარხავს, ერია ჩვენი მამა, ქართველი მამის მიცვალებული მთელი ერის მიცვალებულია, ქართველი ვაჟკაცის მკვლელი მთელი ერის მკვლელია.

მოგიხდებოდა, ჩემო საქართველო, როგორ მოგიხდებოდა სიყვარულივით ბედნიერი მომავალი.

ახალგაზრდობა წრფელი გულია, ახალგაზრდობა ყველაფერია, რაც რამ ყოფილა ამ ქვეყანაზე კარგი და მშვენიერი.

და უმზერ ანთებულ სახეებს...

რამდენი მზე დაგვაკლებია, რამდენი სიყვარული დაგვაკლებია, მაგრამ მაინც წმინდა სანთლებია.

ადამიანი უსიყვარულოდ ცარიელი ჭურჭელივითაა, შიგ ცხოვრება მხამს ასხამს მხოლოდ.

ადამიანი სიყვარულისთვის მოდის ამ ქვეყანაზე და სიყვარულისთვის მიდის. სიყვარულით გაკაფულ გზაზე მიდიოდნენ საუკუნეებით თავაწეულები.

სიყვარულით, გაიღიმებენ და იტყვიან.

სიყვარულიო... დაიტირებენ და იტყვიან...

როგორც სამშობლოს ... ლის ... ... ... ლი. ნამდვილი ქრება.

სიყვარულიო... გაიღიმებენ.

ალბათ დიდი ხელოვანი უნდა იყო ადამიანი, რომ სიყვარულის ქვიდან აზრი გამოძერწო.

რომ ცრემლებიდან ჰანგები აკვნესო.

რომ სიყვარულზე ილაპარაკო დღეს.

რომ თითქოს გული გაიყიდა, რომ თითქოს საუკუნეებმა დალალეს სიყვარული.

მრავალი ტკივილიანი სტრიქონი ისმის, მრავალი სიმღერა, ტკივილი ავსებს დარბაზს.

მრავალი სიტყვა წინაპრებზე თუ დღევანდელობაზე, ხვალინდელზე... სიყვარულზე, იუმორიც ჭარბადაა დღეს.

სიცილიც და ცრემლიც, სიტყვაც ექოებივით რომ ისმის და გჯერა ამ სიტყვების.

**მთვარისა გენდელიანი.**

---

**ხსოვნა**

# გია გივის ძე ჯიაძე

ისევ მოვიდა მარიამობის თვე, შენი დაბადების დღეც მოსულა... უშენოდ მოკარულა, გია! უსაშველო სევდა ტოვულია თან, შენი ხილვისა და მონატრების უსაზღვრო სურვილით. მზემ, ნაყოფით დახუნძლულმა ხეებმა შემოიხედეს შენს სახლში და მოგიკითხეს... გაკვირვებულმა ხეებმა უშენობის მიზეზი გკითხეს. შენს სახლში შემზარავ სიჩუმეს დაუსადგურებია... ყველაფრის ხალისი ჩამკვდარა შენი ახლობლების ოცნებებში, ყველა სიხარული ჩანაცრულა, შენს მერე გია! ცრემლი იმდენი დადენილა, თითქოს გამშრალა...

რამდენი ოცნება აუხდენელი დაგრჩენია, ფიქრები გაგფრენია, ღიმილი სახეზე გაგყინვია, კაცური კაცის სახელი დაგიტოვებია, სიკეთე და სიყვარული გითესია, გია!

შენი სიკვდილი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, შენ ხომ დიდი და კეთილშობილი იყავ, სიცოცხლე ხალისობდა შენში, შენ ბეძლო დაუზარლად გაგეცა უკანასკნელი ბროშებიც კი, ოღონდ ვინმესთვის სიამოვნება მიგენიჭებინა, როგორ გვეამაყებოდი შენი ასეთი სიდიადით, ერთადერთო საფიცარო, დაუვიწყარო, გამოუგლოვებლო გია!

ახლა სურათებიდან შემოგვცქერი და სევდიანი, ალალი თვალებით გვეკითხები— როგორ ძლებთ უჩემოდ?

ვძლებთ, ამას თუ გაძლება ჰქვია! გვენატრები გია, უსაზღვროდ გვენატრები, რა შეგვიძლია შენს მორიდებულ ალალ ღიმილს, იმ დიდ სიყვარულს და სითბოს, რომელსაც გულუხვად არიგებდი.

გვენატრები, გვინდა ისევ ჩამოგვიქროლო შენი თეთრი მანქანით ჩვენს ჭიშკრებთან და კვლავ გულიანად გადმოგვძახო: „არ წამოხვალთ, გოგოებო თავისახლს?" გვინდა რომ ეს ერთხელ კიდევ გაგვემეორდეს, შენს შემდეგ გია! მაგრამ არა... როდის, როდის მოხვალ! გელოდებით, უსაზღვროდ გელოდებით, უნდა მოხვიდე!

მიდის დრო, მიდის მძიმედ და დარდიანად, მაგრამ არა და არ მიაქვს ის სევდა, ის ტკივილი, შენ რომ დაგვიტოვე, ვერა და ვერ კურნავს დრო იმ ტკივილს, შენი სიყვარული რომ ჰქვია, გია!

ისევ მოვიდა მარიამობისთვე, შენი დაბადების დღე გია! მოვიდა უშენოდ და კი არ წაიღო, არამედ მოიტანა ახალი სევდა და შენზე დარდი.

რა კარგი იქნებოდა სამყარო, ადამიანები მხოლოდ სიკეთისათვის, სიყვარულისათვის რომ ცხოვრობდნენ, მაშინ შენ ხომ ცოცხალი გვეყოლებოდი, გია! შენ დიდი იყავ, იმდენად დიდი, რომ ყველაფერს ავსებდი ირგვლივ, გია! მაგრამ ჩვენს გულებში დარჩენილ სიცარიელეს, შენს უკან ვერანაირი სიხარული ვერ ამოავსებს გია!

შენს სიცოცხლეჩამქრალ ეზოში ყველაფერი შენი სითბოთი სუნთქავს და შენი დაბადების დღეზე გელოდებიან...

უშენოდ ძალიან, ძალიან ძირს სიცოცხლე! უშენოდ ძალიან დავიღალეთ, მაგრამ გელოდებით და მოდი აუცილებლად, ჩვენო შვილივით ნაფერებო ერთადერთო, საფიცარო და სალოცავო შენი დისშვილების ერთო „ბუძია" ამ ქვეყანაზე.

**შენი და შენი დედმა—მისშვილების ოჯახები.**

* * *

გაზაფხული ვერ გაზაფხულობს, მზეც ისე აღარ ჩახჩახებს თითქოს, ვერც ვარდობისთვემ დაგვათრო თავისი სურნელით... უშენოდ არსებობაც, სუნთქვაც აღარ გვინდა, გვეძირს გია, ჩვენო ამაყო და მზისდარო ბიჭო.

უშენოდ გადის დრო... ისევ მოვიდა შენი დაბადების დღე... დრო საუკეთესო მკურნალიაო ვინ თქვა, რაც დრო გადის, მით უფრო გვენატრება შენი ღიმილი, შენი სიკეთითა და ერთგულებით სავსე გული.

რა დასანანია, რომ შენს დარჩენილ სიცოცხლეს შენი ვერც შვილი გააგრძელებს და ვერც შვილიშვილი.

გავშვობიდან ობლობაში გაზრდილს არც დიდობაში შეგექნა ბედი... მეგობრებზე გადაყოლილს საკუთარი თავი აღარ გახსოვდა, მათი სიცოცხლით ცხოვრობდი, ვაი, რომ აქაც არ გაგიმართლა.

ტკივილი სულს გვიკაწრავს, ცრემლს არ გვიშრობს, დარდს არ გვიქარვებს, უშენობა ჰქვია ამ ტკივილს გია.

6 აგვისტოს 24—ისა გახდებოდი. და მაინც აღვნიშნეთ შენი დაბადების დღე. მაინც გილოცავთ მანდ, სამუდამო სასუფეველში. ნათელში იყოს შენი საწყალი, სუფთა სული.

დაბადების დღეს გილოცავთ გია...

**ახლობლების სახელით:**
**მანანა კოპალიანი.**

---

# გილოცავთ

**ნატო მიქაძეს, ჯონდო ბაკურაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, სიყვარული, სიკეთე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.
**ზიზი, მაკა.**

---

**მარიკა მეშველიანს, ზაზა ჩაკვეტაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.
**მაკა მურღვალაძე, ელისო კვირკაშვილი.**

---

**ნინო, მერაბ ჩაკვეტაძეებს**
გილოცავთ ბედნიერებას იხარეთ და იმრავლეთ.
**რაიონული საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.**

---

**სოფო, მაიზერ ახვლედიანებს**
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**მედეა, მაია, მელორ ახვლედიანები.**

---

**დათო სოსოს ძე ბერიძეს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
**თამაზ ჩიქოვანი ოჯახით.**

---

**მედეა ახვლედიანს**
გილოცავ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას.
**შალვა ვარდანიძე.**

---

**თინა, ომარ ახვლედიანებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**სამშობიარო განყოფილების თანამშრომლები.**

---

**იული, ბორის ონიანებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**სამშობიარო განყოფილების თანამშრომლები.**

---

**ეთერ, გელა უჩაძეებს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**ლეილა, მერაბ სალინაძეები.**

---

**ნანული, ბორის მიქაძეებს**
გილოცავთ ნატოს ბედნიერებას.
**აგრომრეწვბანკის თანამშრომლები.**

---

**ლედი, ზაურ გენიძეებს**
**ზაირა, გურამ ყურაშვილებს**
გილოცავთ შვილების ინსტიტუტში მოწყობას.
**გელა სალინაძე ოჯახით.**

---

**ლამზირა ონიანს, ემზარ ლიპარტელიანს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
**ნინო შკუბულიანი, მთვარისა, რომან ცაავები.**

# გილოცავთ

**მარინე თუთისანს, სოსო ქომეთიანს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
**ნინო, კახა, ირაკლი, ალუდა.**

---

**მარინე, რობერტ, ნელინე გოლეთიანებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
**ზაალ ჩაკვეტაძე ოჯახით.**

---

**ლამზირა, ემზარ ლიპარტელიანებს**
გილოცავთ პატარა მარის შეძენას.
**თამაზ, ლალი, თამუნა ლაშა ლიპარტელიანები.**

---

**ლამზირა, ემზარ. ლიპარტელიანებს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
**ნატო ჩაკვეტაძე, ნონა, ირმა ნინო კოპალიანები**

---

**მედეა ანზორის ასულ ახვლედიანს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას. გისურვებთ წარმატებებს.
**მარიკა, სოფო, მაიზერ ახვლედიანები.**

---

**ლია, კარლო კვირკაშვილებს**
გილოცავთ ქეთას სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობას.
**იური ჭაბუკიანი ოჯახით.**

---

**ნინა ლეთოდიანს, ლილი ბენდელიანს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**ამბერკი სილაგაძე ოჯახით.**

---

**თინიკო ონერის ასულ ნემსწვერიძეს**
გილოცავთ სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვას. კვლავ წარმატებებით გევლოს.
**ნანი, თამაზ ჩიქოვანები.**

---

**მარიკა ზაურის ასულ გენიძეს**
გილოცავთ სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვას. კვლავ წარმატებებით გევლოს.
**ნანი, თამაზ ჩიქოვანები.**

---

**ხათუნა მეშველიანს**
გილოცავთ მარიკას ბედნიერებას.
**რაიონული საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.**

---

**თეა მურცხვალაძეს**
გილოცავთ ინსტიტუტში ჩარიცხვას. გისურვებთ ლამაზი დღეების სიმრავლეს და ბედნიერ მომავალს
**ხათუნა, იულიჩკა.**

---

**მაია, სოზარ, თეა ომარ ახვლედიანებს**
გილოცავთ ვაჟიანობას.
**ასლან ფოჩხიძე ოჯახით.**

---

**მარინე, სოსო ქომეთიანებს**
**ნუნუ, ლადო თუთისანებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო.
**ჟორა კუხალაშვილი ოჯახით.**

---

**რედაქტორი ნ. ნემსაძე.**

---

მეუღლე ზინა ჭაბუკიანი, და დოდო, შვილი ციცინო, სიძე გოგი კერესელიძე, დისშვილი სოზარ ცვარიანი, ცოლისდა თინა ჭაბუკიანი ოჯახებით, შვილიშვილები მარიკა, კოგა კერესელიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**სამსონ ალექსანდრეს ძე ყურაშვილი.**

---

რაისაავადმყოფოს კოლექტივი თანაუგრძნობს ზინა ჭაბუკიანს მეუღლის
**ალექსანდრე ყურაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

ნაპალეონ სილაგაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნატო, ჯიბული ლეთოდიანებს მამის
**ბელა ლეთოდიანის**
გარდაცვალების გამო.

---

დათო ონიანი ოჯახით თანაუგრძნობს დუდუშა, ანზორ ახვლედიანებს შვილის
**ვალერის**
გარდაცვალების გამო.

---

დედა ნადია, მეუღლე ია, შვილები მირიანი, მარიტა, ძმა რეზო, და ლეილა, რძლები ნინო, მაყვალა, ირინა, სიძეები თამაზ ბენდელიანი, პაატა ჯელაძე, შვილიშვილები ლაშა, ბექა, ძმისშვილები ნატო, მამუკა, დისშვილები მზია, გია კუხალაშვილები, დეიდა, ბიძები, ბიცოლები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**შიო ინდიკოს ძე ჩაკვეტაძე.**
დაკრძალვა 11 აგვისტოს, ხუთშაბათს, სოფ. ზუბში.

---

თანაკლასელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ზურაბ ვენედის ძე თვარაძე**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

სევარიონ კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ზურაბ თვარაძის**
გარდაცვალების გამო.

---

დედა თამარი, მეუღლე ნაილი, შვილები ჯიბული, თამუნა, თეა, გრიგოლი, რძალი ნატო მუშკუდიანი, დები მაგული, დარეჯანი, დეიდები შუშანა, გოგუცა, ბიძა ოთარი, სიძეები ჯეირან ხაბულიანი, რეზო კოპალიანი, შვილიშვილი გიორგი, დისშვილები, ცოლისდები ნანული, ია, ცოლის ძმა ჯემალ ხეცურიანი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბელა გრიშას ძე ლეთოდიანი**
დაკრძალვა 13 აგვისტოს შაბათს სოფ. ჭალისთავში.

---

კარისაზ ლურჭუმაძე, ჯიანლო შკუბულიანი, ლაითა ჩახქსელიანი, სულიკო ყურაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ზურაბ თვარაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სატყეო მეურნეობის თანამშრომლები იუწყებიან
**შიო ინდიკოს ძე ჩაკვეტაძის**
გარდაცვალებას.

---

ლაშარ, სერგო, ამირან, მეგუდ სალინაძეები ოჯახებით იუწყებიან
**რიმა ქაშაკაშვილი — სალინაძის**
გარდაცვალებას.

---

იუზა კვირკაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ანზორ ახვლედიანის ოჯახს
**ვალერის**
გარდაცვალების გამო.

---

გურამ ჩაკვეტაძე ოჯახით იუწყება
**შიო ინდიკოს ძე ჩაკვეტაძის**
გარდაცვალებას.

---

ნოდარ, ვახტანგ ჩაკვეტაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**შიო ინდიკოს ძე ჩაკვეტაძე.**

---

კაკო, ჯემალ ჩარკვიანები, ანზორ კვირკაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**სამსონ ყურაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები მიშა მუშკუდიანი, ოთარ სალინაძე, გოგი ირემაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ დუდუშა, ანზორ ახვლედიანებს შვილის
**ვალერი ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლედი, ჯუმბერ სალინაძეებს
**რიმა ქაშაკაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

რაიონის საკრებულოს გამგეობის აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ მანანა თვარაძეს ძმის
**ზურაბ თვარაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაცაცო, იური ხეცურიანებს ბიძაშვილის
**ვალერი ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

დათო ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**სამსონ ყურაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

გრიგოლ სალინაძე, იდენ, ზაალ ნემსწვერიძეები, ბორის აბაშიძე, ჯემალ, მერაბ, ვაჟა, გრიშა, ვაჟა, უშუნა ჯიმშერ, კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბელა ლეთოდიანი**
და თანაუგრძნობენ ჭირისუფალს.

---

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ იაშა და ბიჭიკო ბენდელიანებს დედამთილისა და დედის
**ლიდა ბენდელიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ვიქტორ ყურაშვილი, შურა მეკარაძე, ჯემალ გვიშიანი, ბორის სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ვალერი ანზორის ძე ახვლედიანი**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

კასილ, თამაზ სვანიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ალექსანდრე, ფაქიზო მუშკუდიანების ოჯახს
**ანზორის**
გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები რუბენ ბაქრაძე, როსტომ, გურამ, ბადრი, გრიშა შავგულიანები, ბორის კაკრიაშვილი, ვალიკო, ჯუმბერ, ბიჭიკო კოპალიანები, კარლო სალინაძე, ვალოდია გუაძე, ელგუჯა ლეთოდიანი, შურა სილაგაძე, ბელა ჩუტკარაძე, მურთაზ, რეზო ბენდელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ზურაბ ვენედის ძე თვარაძე**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გოგი გვიშიანი ოჯახით თანაუგრძნობს ანზორ, დუდუშა ახვლედიანებს ლალი, მურმან გვიშიანებს შვილისა და ძმის
**ვალერის**
გარდაცვალების გამო.

---

თამაზ არჩილის ძე სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ანზორ ახვლედიანის ოჯახს
**ვალერის**
გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის ახალგაზრდობა ღრმა მწუხარებით იუწყება
**ზურაბ ვენედის ძე თვარაძის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ჭირისუფალს.

---

სოზარ, ვიქტორ, დათო ალექსანდრე ცვარიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**სამსონ ყურაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულნარა სალინაძეს ბიძაშვილის
**ანზორ მუშკუდიანის**
გარდაცვალების გამო.

---

მარკო, დალოსტი, ელგუჯა, დათო სვანიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ზინა ჭაბუკიანს, ციცინო, გოგი კერესელიძეებს
**სამსონ ყურაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

გუჩუ გურული, [illegible] ლინაძე, [illegible] ჭიჭიკო [illegible] ები იუწყებიან
**სამსონ ყურაშვილის**
გარდაცვალებას.

---

მურთაზ ახვლედიანი, გიზო, ბორისი, ბელა გოლეთიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**სამსონ ყურაშვილი**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

თამაზ ლეთოდიანი ოჯახით იუწყება
**ზურაბ თვარაძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ჭირისუფალს.

---

ავტანდილ ჩაკვეტაძე ოჯახით იუწყება
**შიო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალებას.

---

ზურაბ, მამია დაშნიანები, ჯონგო ბაქურაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ზურაბ თვარაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1984 წლის კურსდამთავრებულები (მე—10—ბ კლასი) იუწყებიან
**ვალერი ახვლედიანის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფალს.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის მე—11 კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ ანა მუშკუდიანს მამის
**ანზორის**
გარდაცვალების გამო.

---

ირინა, ელზა, გოჩა ბენდელიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან
**ვალერი ახვლედიანის**
გარდაცვალებას.

---

ავთო, ანზორ, იური ახვლედიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**თინა ჩიქოვანის**
გარდაცვალების გამო.

---

კარლონ ჩაკვეტაძე ოჯახით იუწყება
**შიო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალებას.

---

მურთაზ, სოსო გერიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**სამსონ ყურაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

რომან კოპალიანი, ჯაბული და გოგი სალინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ იუზა სალინაძის ოჯახს
**რიმა ქაშაკაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

ალექსანდრე, დათო ცვარიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ დოდო, მურთაზ გერიძეებს დედისა და სიდედრის
**ანტისას**
გარდაცვალების გამო.

---

ჟორა კუხალაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ნუნუ შიო ომანაძეებს მამისა და სიმამრის
**ანზორ მუშკუდიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ზუბის საშუალო სკოლის 1978 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მირიან ჩაკვეტაძეს მამის
**შიო ინდიკოს ძე ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონული სტამბა.